თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1495469

ნომერი: AR1241395

თარიღი : 21.08.2014

გაცემის თარიღი : 17.09.2014

გაცნობის თარიღი : 17.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხევძმარის და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოგი ბოლქვაძე პ/ნ 01008052078
- თბილისი, თ. ნადარეიშვილის ქ. #5, ბ#9

ორგანიზაცია:
- შპს ,,გოუგაზი" კოდი: 200190603

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.12.2013წ. #1066494 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის მერიის სსიპ– თბილისის არქიტექტურის სამსახურს07/31/2014წ. #AR1241395 განაცხადითმომართეს გოგი ბოლქვაძემ და მირიან მუკბანიანმა და მოითხოვეს სამსახურის31.12.2013წ. #1066494 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურმაჩვენებლებშიცვლილებისშეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლისთანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 31.12.2013წ. #1066494 ბრძანებით, ქ. თბილისში, ხევძმარის და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან, შპს „Gogaz გოუგაზის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.11.12.018.020) შეთანხმდა გაზგასამართი სადგურის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო დამკვეთად დაფიქსირდა შპს „Gogaz გოუგაზი“.

განმცხადებლების განმარტებით, პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებულიტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რის გამოც წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია შევიდეს ცვლილება ბრძანებაში და დაფიქსირდეს გასწორებული მონაცემები: საერთო ფართობი (კვ.მ).: 95.9, საოფისე ფართობი (კვ.მ).: 30.6, ასევე დაემატოს საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 41.6 და დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 23.7, დანარჩენი მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14083583, 21/08/2014 09:20:51)თანახმად, შპს „Gogas გოუგაზის“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი მირიან მუკბანიანი.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს დამიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატებისშეტანის უფლება აქვს მის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისშესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.12.2013წ. #1066494 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 95.9, საოფისე ფართობი (კვ.მ).: 30.6, ასევე დაემატოს საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 41.6 და დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 23.7, სხვამაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.12.2013წ. #1066494 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.